SSG 0 23 00265221

29/11/2023

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის
ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორს
სახელმწიფო უსაფრთხოების პოლკოვნიკ
სერგო ჯანელიძეს

პატაკი

მოგახსენებთ, რომ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს ქონების მართვისა და ექსპლუატაციის სამმართველო (პატაკი №259277, 22.11.2023 წ.) ითხოვს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ტერიტორიაზე (ქ. ქუთაისი, პ. იაშვილის ჩიხი II, №4) მდებარე შენობა-ნაგებობის სარემონტო სამუშაოების ჩატარებას.

შემოსული მოთხოვნა, სამშენებლო განყოფილების თანამშრომლების მიერ ინიციატორთან ერთად ადგილზე იქნა შესწავლილი, რაზედაც შედგა შესასრულებელი სამუშაოებისდეფექტური აქტი, სავარაუდო სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით - **72 000.00 (სამოცდათორმეტი ათასი ლარი) ლარი.**

გთხოვთ, თქვენს განკარგულებას, შესაბამისა სამსახურმა უზრუნველყოს სამუშაოების შესყიდვისთვის ელექტრონული ტენდერის ჩატარება. მოთხოვნილი სარემონტო სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 კალენდარული დღე, საგარანტიო პერიოდი შენობის გადახურვაზე გამოყენებულ მასალებზე 7 წლით, ხოლო სხვა სარემონტო სამუშაოებზე გამოყენებულ სამშენებლო მასალებზე - 3 (სამი) წლით. პრეტენდეტმა უნდა წარმოადგინოს ობიექტზე ჩასატარებელი სამუშაოების გეგმა-გრაფიკი, გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია 2021-2023 წლების განმავლობაში 150 000.00 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულების შესახებ.

შესასრულებელ სამუშაოებზე ანგარიშსწორება განხორციელდეს ეტაპობრივად: სამუშაოების დასრულების შემდეგ წარმოდგენილ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე (ფორმა-2) 90%-ის ოდენობით, ხოლო დარჩენილი 10%-ის ანაზღაურება განხორციელდეს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დამადასტურებელი დასკვნის საფუძველზე. ასევე მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია შემსყიდველმა გადაუხადოს მიმწოდებელს სამუშაოების ღირებულების 90%-მდე ავანსად, მის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტიის საფუძველზე.

პრეტენდენტი ვალდებულია დეფექტური აქტის განფასებისას შესაბამის გრაფაში მიუთითოს საიდან არის აღებული ფასები. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში შემსრულებელმა უნდა წარმოადგინოს გამოყენებული მასალის ღირებულების დამადასტურებელი სასაქონლო ზედნადები.

ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი, შესრულებული სამუშაოების დადასტურება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება განახორციელოს სუს ეკონომიკური დეპარტამენტის სამშენებლო განყოფილების თანამშრომელმა დ. ლომიძემ და წამყვანმა სპეციალისტმა ი. ენუქიძემ.

დანართი: 2 (ორი) ფაილი

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის
ეკონომიკური დეპარტამენტის
სამშენებლო წამყვანი სპეციალისტი ი. ენუქიძე

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
ეკონომიკური დეპარტამენტი
სამშენებლო განყოფილება
წამყვანი სპეციალისტი
ენუქიძე იროდიონი